

# ნაპადუღი

საყმაყვილო ჟურნალი



მინია ვლოჰანთათვის

## შინაარსი:

1 * ლექსი . . . . .	263
2 მოგზაური ბაყაყი . . . . .	565
3 ციყინათელა . . . . .	271
4 სამი ამზანაგი . . . . .	274
5 ჰერკულესის ამზაგი . . . . .	276
6 აღუბალი . . . . .	281
7 ნარევი: ბაყაყი ბუღეს იშენებს . . . . .	285
8 საზალისო სამუშაო და გასართობი: ა) „ხელმწიფობია“, ბ) გამოცა- ნები . . . . .	286

№ X

მ ა რ ტ ი

1905

ტფილისი

ელექტრონის სკამა წიგ. გამოცე. ქართ. ამზახაგობისა  
1905



საქართველოს  
საქართველოს

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 28-го марта 1905 г. Тифлисъ



საქონელი  
მეზღირთიან

(ვეძღვნი მოწაველ ყმაწვილებს)



ორიდან მოსჩანს ოქროსფრად  
თავ-თავ დასსმული უანები,  
არ მოვსწრებივარ შენასოს  
სსვა დროძი ამისთანები.

ეს შითი მოსდა, რადგანაც  
გამოაცაღეს ღვბრძლია:  
ჰსედავთ, მშრომელის მარჯვენას  
რა წმინდათ გაუმარგლია!

მისი მარჯვენა იკურთხოს,  
ვინც არა ზოგავს შრომასა,  
ოფლსა ჭღვრის მამულისათვის,  
ძმასაც გაუწევს მძობასა.

მეზობელთ, მოძმეთ, მეკობართ  
გაუბედვილებს ჭირებსა,

თუისის ნუგეშით საბრძლოთ  
 ცრემლს მოსწმენდს მონადინებსა.

ასეა, ჩემო ზატარავ,  
 ასე სცოდნიათ ძველადა,  
 ერთ მიწის შვილებს ერთობა  
 ჭკონიათ განურჩევლადა.

მათნი ქომაგნი ყოფილან,  
 ჭირს შეუცვლიდნენ ღსინადა,  
 ერთობა სულით და გულით,  
 ერთობა მეგობრულადა.

თუ გსურთ კაცადა გიწოდონ,  
 დალოცონ შენი სახელი,  
 შრომითა სძლიე უძლეველს,  
 გაითქვი მითი სახელი.

კნ. ნინო ორბელიანი



## მოგზაური ბაყაყი

(გარშინისა)



ყო და არა იყო რა, იყო ერთი უიუინა ბაყაყი. ჭაობიან ალაგას დაბინავებულიყო და კოლო-ბუზებით და სსვა მწერებით სასრდლობდა. გასა-ფსულდებოდა თუ არა, ისიც თავის ამხანაგებთან ერთად სმა ძაღლა უიუინს მორთავდა და ჭქონდა ერთი ამბაყი. იქნებოდა ასე და მშვიდად გა-ბტარებდა მთელ თავის სიცოცხლეს თუ, რასაკვირველია, უბედურება არ დაატედეოდა რა თავს, ე. ი. თუ ვარუატი არ მოუსპობდა უდროვოდ ცხოვრებას. მაგრამ უური დამიგდეთ...

ერთხელ წელის ჰირად სორკლიან ხეხედ წამოსეკუპებული-ყო ჩვენი ბაყაყი და მშვენიერ ქუჩუნა წვიმით სტკებოდა. „რა სასიამოვნო გრილი დღეა, ნეტარებაა სწორედ ჩვენი ცხოვრება,“ — ფიქრობდა ბაყაყი.

ამ დროს ჭაერში უცებ რაღაც სტკუნის მინაგვარი სმა გაიხმა. არის ერთგვარი ძფრინავი ისვი, რომელიც ფრენის დროს ჭაერს ისეთის ძაღლით აპობს და ისე სმაურობს, რომ გვეკონებათ, ძღერის ან უსტკუნს ვინძეო. ამასთან ძაღლიან ძაღლა ჭფრენს, ისე რო თვალით არა სხანს და სმა კი ისმის. ამ ჟამდაც ჯერ უცნაური სმა მოესმა ბაყაყს და ჰატარა სხანს შემდეგ თითონ ისვებიც გამოჩნდნენ და სწორედ იმ ალაგას დაემყენ, საცა ჩვენი ბაყაყი იმეოფებოდა და ბუნებით სტკებუ-ბოდა.

— კრი, კრი, კრი! — წამოიძახა ერთმა ისუმა. — ჩვენ კი მანძილი გვაქვს გასაუღელი და კარგი იქნება შევზარდეთ.

ეს სმა გაიგონა ბაუაუმა და საჩქაროდ დამძლვა იფიქრა. მართალია, დარწმუნებული იყო, რომ ისუბი იმას ვერ შეშვამდნენ, რადგან მათთვის ძნელი მოსახველებელი იქნებოდა, მაგრამ მაინც და მაინც დამძლვა არჩია და უცებ ჩაუურეუ-მელავდა წებლში...



ზატარა სნის შემდეგ ისევ ამოჭეო თავი, რომ შეეტყო, საით მიემკვარებოდა ისუბი.

— კრი, კრი, — წამოიძახა ამ დროს მეორე ისუმა. — ჩქარა გავწიოთ სამსრეთისკენ, თორემ აქ ძალიან ცივა!

ამას სსუბიც დაუთანხმნენ და უველამ ერთსმად მორთეს უიენი.

— თქვენო ფრთოვანებავ! — გაკადნიერდა ბაუაუი და გამო-ესმაურა ისუბს. — ნუ შემრისხავთ უვიცს, მიბრძანთ, რა არის სამსრეთი, საითაც თქვენ მიბრძანდებით?

ისუბი მსწრაფლ გარს შემოეხვიენენ საცოდავ ბაუაუს და შეჭმა დაუპირეს, მაგრამ რა ნახეს, რომ შეტად დიდი იყო და

ზირში არ გაიმართებოდა, თავი გაანებეს. მერე ვეკლამ ვინაა  
 სმად მიუგო:

— ოო, კარგი რამ არის სამსრეთი! იქ ესლა ზაფხუ-  
 ლია! ჭაობებით სავსეა იქაურობა და მწერი სომ თავსაურე-  
 ლია. ცხოვრებაც იქ არის და ნეტარებაც!

ისე აუჯანდენ ისეები, რომ საცოდავი ბაუჯი კინაღამ სულ  
 გამოაურეს. რომ ვეღარა გააწეო რა, ერთს ისეს მიძართა, რო-  
 ძელიც ვეღლაზედ დიდი იყო და ვეღლაზედ ჭკვიანსაც ჭტავდა, და  
 სთხოვა კარგად გაეკებინებინა, რა იყო სამსრეთი. როცა  
 დაწერილებით შეიტყო ვეღლაფერი, აღტაცებაში მოვიდა. მარ-  
 თალია, ცოტა შიში ჭქონდა, მაგრამ მანც შეეკითხა:

— მამ იქ ბევრი კოლოზუსია?

— ურიცხვია, ურიცხვი,—მიუგო ისემა.

ანლა კი ვეღარ მოითმინა ბაუჯმა: მიუსედავად იძისა,  
 რომ შემოდგომა იყო და ამხანაგები გაჭკიცხუდენ უდროვოდ  
 ეიუნისა და წესის დარღვევისთვის, მიხედა ბქეთ-იქით, სომ  
 არსად არიან ჩემი ამხანაგებიო, და რაკი ვერაზინ დაინახა,  
 გულიანად სისარულით დაიეიუნა და ისევ ისეებს მიძართა:

— მეც წამიეგანეთ!

— უცნაურია, თქვენმა მხემ! როგორ უნდა წაგიეგანოთ,  
 რომ ფრთები არ გაქვს და ფრენა არ იცი?—უთხრა ერთმა  
 ისემა.

— თქვენ როდის უნდა გაფრინდეთ?—შეეკითხა ბაუჯი.

— ძაღუ, ძაღიან ძაღუ, რადგან ბქ ძაღზედ აცივდა.—  
 უხანუსეს ერთსმად ისეებმა.

— მამ გთხოვთ, სუთი წამი დამიცადოთ. იქნება მოვიგო-  
 ნო რამე, ესლაჲ დავბრუნდები.—სთქვა ბაუჯმა, ისეუმა და  
 წყალში ჩაიძალა. გავიდა უკვე სუთი წამი, ის იყო ისეებმაც  
 დააპირეს გაფრენა, რომ ბაუჯმა ამოჭეო წულიდან მეტად გა-  
 სარებულნი და გაბრწყინებული თავი.



— იცით, მეკობრებო, რა მოვიგონე? — უთხრა ამოქვეყნებულ თანხვე ბაუაქმა, — მეც თქვენით თანამოგზაური ვარ, თუ ნების მომცემთ. ვიშოვოთ ჰატარა ჯოსნი... ორმა თქვენგანმა ნისკარტებით დაიწიროს... შუაზედ მე მოვეჭიდები და ამ რიგად გავუკვსავართ. საშიში არაფერია, მხოლოდ ეს კი უნდა ვიქონიო სასეში, რომ გზაში არც თქვენ და არც მე კრინტი არ დავძრათ.

მართალია, ძნელი საკისრებელი იყო, ერთი თვის სავალი გზა ჰირ მოკუშული გაველოთ და თან ეთრიათ თუნდაც ძლიერ მსუბუქი ტვირთი, მაგრამ ბაუაქის ამგვარმა მოსერსე ბაბა და გონიერებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა ისევები, რომ ამას აღარ დასჯდეს და დიდის სიამოვნებით დასთანხმდნენ მის წინადადებას. შეჭკრეს ჰირობა, გზა და გზა რიგ-რიგად ეტარებინათ ბაუაქი, და რადგან ისევები მართლა იმდენი იყვნენ, როგორც სღაპრებში იტყვიან — ამდენი, ამდენი, ამდენი და კიდევ ამდენიო, და ბაუაქი კი მხოლოდ ერთი, ამიტომ არც ისე ძნელი იყო მისი თრევა.

მოსმებნეს მაშინვე მაგარი და საიმედო ჰატარა ჩხირი, ორმა ისუმა აქეთ-იქით ჩაავლო ნისკარტები. ბაუაქი შუაზედ მოებლაუჭა და ისევების გუნდი აფრინდა ძაღლა. საცოდავ ბაუაქს კინაღამ სული შეუკუბდა, როცა იმ სიმაღლეზედ იგრძნო თავი. ამასთან ისე უსწორ-მასწოროდ ჰფრენდნენ მის სიმძიმისა გამო ისევები, რომ უბედური ბუმბულივით ტრიალებდა ჰაერში და სცდილობდა რაც შეეძლო მაგრა მოებლაუჭებოდა ჯოსს, რომ ძირს ბრავგვანი არ მოედო. მაგრამ ბოლოს იმდენად მიეჩვია, რომ არსეინად იწყო ძაღლიდან მინდორველის თვალიერება. ჰირველში ესეც ძნელი იყო: საშინელის სისწრაფით იცვლებოდა მის ქვეშ ქვეყნები და თვალებს სტკუნდა, მაგრამ ცოტა რამის დანახვას მაინც ასწრობდა და თავი მოჭკონდა.



— ბიჭმა იცის და! — თავი მოსწონდა ბაუაუს.

იხუები კი ზუვით და ზუვით მიჰყურენდნენ და თან-თან სხუტა-ბას ასხამდნენ თავიანთ თანამგზაურ ბაუაუს. „საკვირველი გონიერი და აზროვანია ჩუენი ბაუაუი: ჭკუის კოლოფია სწორედ! — ამბობდნენ იხუები: — ჩუენ სომ განთქმულები ვართ გონიერებით და ჩუენ შორისაც კი ცოტა მოიპოვება ამისთანა ჭკუიანი და მოხერხებულიო.“ ბაუაუი ისე აღტაცებული იყო ქებით, რომ ერთხელ ცოტას გაწედა გაბრიუვდა და დაიუიენა, მაგრამ მოაგონდა, რომ ჰირის დაღება და ძირს ჩაუარდნა ერთი იქნებოდა, თავი შეიკავა და გადასწევიტა, რაც უნდა იუოს, მოუითქენ და უოველივე გრძობას გუღში ჩავიძარხაუო. მთელი დღე ისე გაატარა მართლა, რომ კრინტი არ დაუძრავს. გადასწევიტილებისამებრ რიგ-რიგით ესიდებოდნენ ბაუაუს იხუები და მალლა ცაში მათი ცულა სამიხელ განსაცდელში აგდებდა ჩუენს მოგზაურს, მაგრამ ის მანც სცდილობდა არ დაცემულიყო სულით და სიმსდაღე არ გამოეჩინა.

სალამო ქაშს იხუების გუნდი ერთს ჭაობიან ადგილს დაეშა დასასუენებლად და რიურაქსედ ისევე გზას გაუღდა. ახლა უფრო კარგად მოთავსდა ჩუენი ბაუაუი, რომ უფრო უკეთ დაენახა მინდორ-ველი და სამუშაოდ განსული ხალხი. ბაუაუს ესმოდა ხალხის ქვიღლ-სივილი და ჰხედავდა, რომ დიდი და ჰატარა მას შესცქეროდა გაცეებული და ერთმხეთს რაღასაც ანიშნებდნენ. რომ დაისუენეს, ბაუაუმა სთხოვა თავის მეგობარ იხუებს, თუ შეიძლება ცოტა დაბლა იფრინეთ, თავსბრუ მუსხმისო. იხუებმაც, რასაკვირველია, შეიწუნარეს მისი თხოვნა და ისე დაბლა იწეეს ფრენა, რომ ბაუაუს მშუენიურად ესმოდა ხალხის ლაპარაკი.

— შესედეთ, შესედეთ: იხუები ბაუაუს მიათრევენ!

ჰვეიროდა ხალხი.

ბაუაუს კი ამის გაგონებასედ სინარულით გული უფასცქალებდა.



— ერთი შესედეტ: რა საკვირველი სანახავია! — ეკარტანენი  
ბავშვები.

— ნეტავი იციან, რომ მე მოვიკონე? — ჭფიქრობდა ბაუაი.

— უუურეთ, უუურეთ ამ უცნაურ სურათს! — ჭკვირობდნენ  
ასლა სხვანი. — ნეტავ, ვინი მოგონილია?

გადაავიწუდა ბაუაეს უოველივე, მეტი ველარ შესძლო და რაც  
ძალი და ღონე ჭქანდა შეჭვივინა:

— ჩემი მოგონილია, ჩე...

მაგრამ ვვირილი აღარ დასცაღდა. შურდულივით წა-  
მოვიდა და თუცა ისვებიც დაეღვენენ და ერთი თითქმის  
კიდევ დაეწია, მაგრამ ტუვიანსავით მოსრიბლებდა ბაუაი ფეს-  
ბის ფართსუნიო. საბედნიეროდ ქვიან და მაგარ ალაგს  
ასცდა და ისევ ჭაობიან ადგილს დაეცა. ცოტა ხანი გულ  
წასული ეგდო, მერე მოსულიერდა, ამოჭეო წულიდან  
თავი და ერთი კიდევ დაივირა:

— მე მოვიკონე, მე!..

მაგრამ ირგვლივ აღარავინ იყო. მის დაცემით შემინებუ-  
ლი ბაუაეები გაფანტულივენენ აქეთ-იქით და როცა დაშვიდ-  
ნენ და დარწმუნდნენ, რომ საშიში არა იყო რა, გამო-  
ნდნენ და გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ცით მიბრძანებულს  
ბაუაეს. ჩვენმა მოგზაურმა მაშინვე დაწვრილებით უამბო, რო-  
გორ იმგზავრა, სად იყო, როგორ მოიკონა ასეთი სერნი,  
რა ნახა საშრეთში და სხვა და სხვა.

— ესლა დროებით შემოვიარე თქვენსა, — დაუმატა მან მე-  
დიდურად: — მინდოდა მენახეთ, როგორა ხარო და როგორ სცხო-  
ვრობო! გაზაფხულამდის აქ დავრჩები, მანამ ჩემი ისვები მო-  
მივლენ. ესლა კი დავითხოვე ჩემი მსლებლები.

მაგრამ ტუვილს ამბობდა: იმას მსლებლები აღარ მისვლიან.  
ისვებმა მაშინვე გადასწუვიტეს, რომ საბრალა მათი თანამგზავრი  
ქვიან ადგილების მსხვერპლი შეიქმნებოდა და ძალიანაც სწუ-  
ხდნენ მის დაკარგვას.

# ციცინათელა

(იპზონური ხალხური ზღაპარი)

ეკლად სამღვთო ლოტოსის ევაგილში ჰაწაწა ციცინათელა სცსოვრობდა. თვითონ ლოტოსი-კი ლამაზ ჰატარა ტბასედა ამოსულიყო. ამ ანკარა ტბაში, როგორც სარკეში, მოსწანდა ლოტოსების დიდრონი ფოთლები და მშვენიერი ევაგილები. მთელი ტბა ლოტოსით იყო მოყვნილი. ღამ-ღამობით ციცინათელა მშვენიერ ვარსკვლავივით ბრწყინავდა, თითქო ლოტოსს ძვირფას ქვებით შემკული გვირგვინი ადგილობ.

იპზონელები სშირად იკრიბებოდნენ, რომ დამტკბარნიყვნენ ამ საუცხოვო სანახაობით. ეველგან ამ კოსტა და ლამაზ ტბასედა ლაპარაკობდნენ, ეველას ჰირსედა იმისი სიმშვენიერე ქეპრა.

ჭრიჭინები, ბუხები, სხვა-და-სხვა ფერის და ტანის ჰეპლები თავს ევლებოდნენ ამაჲ, წენარ ლოტოსებს და ერთის ევაგილიდან მეორესედა გადადიოდნენ.

ჰირველად ეველას აოცებდა ეს უმნიშვნელო ციცინათელა, რომელიც დღისით ისე ჰატარა და ულახათო იყო. ვერ გავეოთ, როგორ და რანაირად ანათებდა. ავიწუდებოდათ, რომ სინათლე ამ კარეგნობით უმნო ჭიას ძლიერ ღმერთთაგან ჰქონდა მინიჭებული. მივიდნენ და თავი დაუკრეს ციცინათელას. შეესეჲნენ—ჩვენს მეფედა გახდით. ჰეპლები, ბუხები, კოლოები, ჭრიჭინები—ეველასი კარს შემოერთენ ლოტოსის



ნახ და ვარდის ფერ ფოთლებს და ერთხმად შესთხოვეს ცინათელას, მეფედ გაკვირდით.

— არა, — სთქვა ცინათელამ, — არ შემიძლიან ვიკისრო ვკ მოვალეობა. მე ისიც მემბიძება, რომ ჩემს გარშემო შეიკრიბებით და მეუდროება დამირღვიეთ... ისიც მეუოება, რომ ცოტად მაინც ვანათებ ამ მძევნიერ და კეთილ ლოტოსს, რომელმაც შემიკვდლა და არც კი ფიქრობს ჩემს განდევნას.

ეწეინათ უარი, უკმაყოფილოდ განდენ ბუხები, ზეზლები, ხარბბუხები, ჭრიჭინები, კოლოები. გაბბუტენ და გაფრინდენ...

— რა წუწკი რამ ეოფილა! — ამბობდენ ეველები ცინათელასჯედ: — ჩვენ ასეთი ზტივი ვეციო, იმისთანა დიდება შეუთავაზეო და ნახეთ, როგორ მოკვექცა! ეედოს თავის ლოტოსჯედ... ბვერი არაფერი შვილია, არც თითონა და არც იმისი ლოტოსი!

ციცინათელაკი სცსოვრობდა თავისთვის მარტოდ-მარტო და კმაყოფილი თავის ბედისა. კვლავინდებურად მოდიოდენ იაზონელები წუნარ ტბასთან და სტკებოდენ ციცინათელის საიდუმლო შუკით განათებულ მძინარე ლოტოსით.

მწერები მაინც არ წუნარდებოდენ; ციცინათელის მომნიბლავი და მომსიდეგელი სინათლე მოსვენებას არ აძლეჯდათ: სულ იმის ძიებასა და კვლეჯვაში იევენენ, თუ საიდან და როგორ შეიძინა ციცინათელამ ასეთი საოცარი თვისება? ბოლოს, არც აცხელეს, არც აციეს — ციცინათელად გადაქცევა მოიწადინეს.

დიდი ხანია ჰხედაჯდენ ისინი ზღვის ზირად, ფუკი-შიმოს მთის ძირში, იაზონელთა ერთ სოფელს, სადაც მძევნიერი, კოპწია სასლები მუდამ საუცსოვოდ ეო განათებული ათასეფრ სანათით. მწერება გადასწევიტეს, ციცინათელა უეჰველად ექ შეიძენდა თავისს სეციურ შუქსაო.

სთქვეს და გაემართენ განათებულ სოფლისაკენ. დიდძალი მწერი მოეფინა სხვა-და-სხვეფრ იაზონიურ ლამაზ

სანათს. ზოგნი თავს დასტრიალებდნენ, ზოგნი გვერდით გა-  
 ურბენ-გამოურბენდნენ, ზოგნი გარს უვლიდნენ.

მაგრამ ამაოდ! მწერები დღემდისაც ვერ მიმსვდარან ციცი-  
 ნათელის სერსს და შესაძლებლად ჰგონიათ ცეცხლის ბლისგან  
 შუქის შექნა. მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავენ, თავუბამე-  
 ტებით იბრძვიან, სცდილობენ და, თუმცა ეს ცდა შეტად მვირად  
 უჯდებათ, თუმცა მუდამ-ღამ ათასობით და ათი ათასობით  
 ცეცხლის ბლისგან დასრუკულნი ძირსა სცვივიან, იღუპებიან,  
 თავისას მაინც არ იძლიან.

ო. ბეჟანიშვილი



## სამი ამხანაგი



ავკი წრუწუნა, ბელურა ჩიტი  
და მესვი დაძმობილდნენ:  
ბელურას ტეიდან შემა მო-  
ჭქონდა, მესვი მზარეულობდა  
და თავუნბაკი დიანსასლინობდა.

რათა ამხანაგებისათვის გუ-  
პრიელი საჭმელი დაესვედრები-  
ნა, მესვი ჩაუძვებოდა წვენიში

და შთელ თავის სისუქნეს შიგ სტოვებდა.

დიდი ხანი ცსოვრობდა ასე ტებილად ეს სამი მეგობ-  
ბარი, ისე ტებილად, რომ იმათი ცსოვრება მტერს თვალებს უბნუ-  
ლებდა.



ერთხელ, როცა ბელურა ტეკში შეძას აგროვებდა, მეორე  
ბელურა შეხვდა და უთხრა:

— რად დაუბრეუვებისარ აგრე შენს ამხანაგებს, რომ  
ორივეს მაგივრად შენ მუშაობ და ისინი კი არანს  
რატომ არ შეიცვლი თანამდებობას?

დაიჯერა ბელურამ ეს სიტყვები და როცა მეგობრებთან  
მიფრინდა, გამოუცხადა:

— საქმეები შევცვალათ: მე ვიდიანახლისებ, თავუნამ  
საჭმელი მოგვინარმოს და მესემა შემსუფ იაროს.

მეგობრები დაჭეუნენ ბელურას სურვილს.

მესვეი მაშინვე ტვისაკენ გაემურა შეშის მოსატანად; მაგ-  
რამ სწორედ ამ დროს მძიერი ძაღლი მუსმუსით დაეძებდა  
ტეეში საჭმელს. როგორც კი მოჭკრა მესვს თვალი, იმ წამსვე  
ხარბად მივარდა და ჭამა დაუწყო. მანამ ძაღლი მესვს შეე-  
ქცეოდა, მხარულ თავუნას უნდოდა ისეთივე გემო მიეცა  
წვინსათვის თავის სისუქნით, როგორც მესემა იცოდა, და  
ბედულებულ წეაღძი-კი გაიფუფქა.

დარჩა მარტოდ ბელურა და რა დაინახა ამხანაგების  
დაღუპვა, იდარდა და ისიც დარდს ვადაჭევა.

ასე უბედურად გათავდა ამ სამი ამხანაგის ცხოვრება.

ვერა კავსაძე



# ჰერკულესის ამბავი

გერმანულიდან

(გაგრძელება)



ირველად მეფე ევრისტოესმა დააკისრა ჰერკულესს ნემეის ღომის მოკვლა. ნემეა დიდი ჭალა იყო, სძირის ტუით შემოსილი, და აქ სცხოვრობდა მეტად ავი ღომი, რომელსაც ისეთი მაგარი ტვაზი ჰქონდა, რომ რკინა ვერ გასწრიდა: როცა ძწუქსები შუბებს დაუშენდნენ, ერთიც ვერ დასწრიდა სამინელ მსუცს, ვეღა მირს ვარდებოდა; ღომი კი დაეცემოდა ძწუქსებს და ეველას დაგლეჯდა.

ჰერკულესი მივიდა ნემეის ტუეში და ერთის ხის უკან ჩაუსაფურდა, როგორც მონადირეებმა იცინან სოლმე. მოვიდა ღომიც: ეს ეს იყო ენადირნა და ცხვირ-პირი სულ სისხლით ჰქონდა მოსვრილი; გპელი ენა გამოეგდო, სისხლიან ცხვირპირს ილოკავდა და თან ბრღღვინავდა; ეს ბრღღვინვა ჭექა-ქუსილს ჰკავდა და მიწა ირუეოდა; ძლიერის კუდით იქით-აქით ხეებს ამტვრევდა.

ჰერკულესმა მოსიდა შვილდი და ისარი ესროლა, მაგრამ ისარი არ მიეკაზრა ღომს, ესროლა მეორედ და ესლაც ვერ დააკლორა; ვაჟმნით მოსილ კაციისთვის რომ ესროლა, ერთიანად გასვრეტდა, ისე ღონიურად იყო ნახსროლი ისარი. ღომმა დაინახა ჰერკულესი, მოიკუმმა, კუდი უკანა ფეხებ შუა ამოიდო და ისკუპა. ჰერკულესმა მარცხენა ხელზე თავისი მოსასხამი დაიხვია, მარჯვენაში დიდი კომბალი ჰქონდა,



ნემეის ტყეში მოჭრილი, და როცა ლომი გადმოსტა, მარცხენა ხელი წინ შეასვედრა და მარჯვენათი კომბაღლი დასთხლიძა. ლომი არ მომკვდარა, ისევე ფეხებზე იდგა, მაგრამ ძალიან შეშინებული იყო. ჰერკულესმა გაქცევა არ აცაღა, სურგზე შეასტა, კისერში ორივე ხელი მოუჭირა და სვეით ასწია; მოკვდა ლომი: ჰერკულესმა ტვაჯი გააძრო და მოსასწამად გაიკეთა. რადგან კომბაღლი გატყეხილიყო (ისეთი მაგარი ჰქონდა თავის ქალა ლომს), ჰერკულესმა მეორე გაძროს. აქედან დაწვეებული ჰერკულესი მუდამ ლომის ტვაჯითა და კომბლით დადიოდა.

დაბრუნდა ჰერკულესი ტირინსში და შეატყობინა მეფეს, რომ ნემეის ტყის ლომი მოკლული არისო. ვერისთუოსი მიძით მოელოდა ჰერკულესის დაბრუნებას: მიწის ქვეშ რკინის ოთახი ააშენებინა და იქ იძალებოდა. როცა ჰერკულესის მოსვლა შეიტყო, ახლოს არ მიიკარა და შორიდან უბრძანა—წადი და ლერნეის ვუძახი მოჰყავლო.

ეს ვუძახი დიდი გველი იყო, გემის სიგრძე, ცხრა თავი ჰქონდა და ლერნეის ჭაობში სცხოვრობდა. ჰერკულესი ერთ დღე ჩავდა, შეეტლვდა თავისი შეგობარი იოლაოსი წაიფანა და წავიდა ლერნეისაკენ.

ვუძახი სვრელში შემვრა და დაეძალა ჰერკულესს; ჰერკულესმა აიღო ისარი, შემოახვია ფისში ამოსვრილი ნაძენში, ცეცხლი წაუკიდა და ვუძახს სვრელში ესროლა. ვუძახი გამოვარდა სვრელიდან და ჰერკულესს მივარდა. ჰერკულესმა ერთი ხელი კისერში წააფლო, ცხრა თავი რომ ება, და მეორე ხელით კომბაღლი დასცხო თავში. გველი კუდით ფეხზე შემოეხვია ჰერკულესს; გველს მოესძარა ერთი სახარელი უსარმახარი კიბოც, რომელიც მისი შეგობარი იყო: ძაგრატელს რომ ფეხები მიუტავს, იძითი მოუჭირა ჰერკულესს ფეხზე და ძალიანაც ატკინა. ვაბრახებულმა გმირმა მეორე ფეხით ვას-



რისა კიბო. მაგრამ ცხრა თავიან ვეძახს კი ვერა მოყურებდა: რამდენს არ გაუტყვდა თავს კომბლით, იმდენი აძონდიოდა, და მისი მეგობარი იოლაოსი რომ არ მიძველებოდა, საქმე ცუდათ იყო. იოლაოსმა სეები წააქცია, დიდი ცეცხლი გაანაღა, აიღო მუგუსალი და, ჰერკულესი რომ თავს გაუტყვდა ვეძახს, ამ მუგუსალს სეა დაადებდა, კარგად მოსწავებდა და ახალი თავი აღარ ამოდიოდა. ვეკლბ თავები რომ ეგრე გაუტყეს და ცეცხლით მოსწვეს, ვეძახიც მოკვდა. ჰერკულესმა ვეკლბ ისრის ბოლოები ამოსვარა ამ ვეძახის სისხლში; ეს სისხლი მეტად მსამიანი იყო და სულ ცოტა რომ გაეფსაჭნა ისრით ადამიანის ან ნადირის ტუპვი, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

ეს იყო მეორე საქმე, რომელიც ვერინთოოსის ბრძანებით შეასრულა ჰერკულესმა, როგორც ანოლონმა უთხრა.

მემდეგ ვერინთოოსმა უბრძანა ჰერკულესს ერთის ირმის დაჭერა და ცოცხლად მოეყვანა. ამ ირემს ოქროს რქები ჰქონდა და ისე ჩქარა გარბოდა, რომ ვერც ძაღლი და ვერც ცხენი ვერ მოეწეოდა, მაგრამ ჰერკულესიც ძაღლიან მარდი იყო: მთელი წელიწადი სდია ირემს, დაიჭირა, მსრებსე შეივია და ტირინსში მიიყვანა. ეს იყო მესამე საქმე.

— ესლა წადი, ვრიძანთოსის ტასი დაიჭირე და ცოცხალი მომგვარეო, — უბრძანა ვერინთოოსმა.

ვრიძანთოსი მთაა არკადიაში; აქ სცხოვრობდა სამინელი ტასი, რომელიც სულ ერთიან აოსრებდა ეანებსა და ბადებს. ახლო ვერავინ მიეკარებოდა და, თუ ვინმე გაბედავდა, მივარდებოდა და თავის ეშუებით (ქილი) ისე დასჭრიდა, რომ ცოცხალი ვეღარ გადარჩებოდა.

ჰერკულესი შეუდგა ვრიძანთოსის გ'სას. სანამ იქ მივიდოდა, გ'საში ერთ გამოქვაბულში შევიდა დასასვენებლად. აქ სცხოვრობდა კენტავრი (ცხენ-გაბა) ფოლოსი; აქვე ახლო მთა

სე ცხოვრობდნენ სსვან კენტავრებიც. ამათ ერთი დიდმოქალაქისაა ჭქონდათ შენახული ფოლოსის გამოქვაბულში და როცა ერთად მოიურიდნენ თავს საქეიფოდ, მხოლოდ მაშინ სვამდნენ. ჭერკულესმა ივანშმა და ღვინო სთხოვა მასწინძელს. ფოლოსს არ ჭქონდა ღვინო იმ ერთის ქვევრის მეტი; იქიდან ღვინის ამოღება კი არ შეიძლებოდა: მოცვინდებოდნენ კენტავრები და ღვინის ამომღებელს მოჰკლავდნენ, ჭერკულესი არ შეშინდა. მივიდა ქვევრთან, ამოიღო ღვინო და დალია: ასეთი ღვინო თავის დღეში არ დაეღია; იგი თურმე ბახუსის (ღვინის, ღმერთის) ნახუქარი იყო; საუკეთესო ვარდის სუნი ჭქონდა და როცა ქვევრიდან ამოიღებდნენ, სუნი ძალიან შორს ისმოდა. კენტავრებსაც სუნი უცნაო და მამ.სვე მოიჭრენ გამოქვაბულთან, რომ ფოლოსი მოეკლათ: ეგონათ ფოლოსმა დალია ღვინო. სოგმა კლდეები მოგჭლიჯა, სოგმა ნამვი და ფიჭვი ამოსთხარა მიწიდან და ისე მიდიოდა: კენტავრები სომ სძლებითა და შუბებით არ ოძობდნენ; შვილდ-ისარიც ძალიან ცოტას ჭქონდა.

ჭერკულესი გამოქვაბულის კარებთან დადგა და, ვინც ახლო მივიდოდა, ან მუგუსხლს ესროდა ან თავის მოძნამულ ისარს, ლურწოსი ვეძანის სისხლში რომ ამოსვარა; ვისაც ისარი მოსვდა, იქვე მოკვდა. შეშინდნენ კენტავრები და გაიქცნენ; ჭერკულესიც უკან გამოუდგა. ფოლოსი ძალიან გაკვირვებული იყო, რომ ჰატარა ისარი ამოდენა კენტავრს ჰკლავდა: მივიდა ერთ მოკლე კენტავრთან, ისარი ამოიღო და სინჯვა დაუწყო; მაგრამ სამწუხაროდ ფრთხილად ვერ მოიქცა, ისარი სულიდან გაუვარდა, მიშველ ფეხზე დაეცა, დაიჭრა და მაშინვე მოკვდა. ჭერკულესი დაბრუნდა და, ფოლოსი რომ მკვდარი ხანა, ძალიან შესწუხდა: ის ღვინო რომ არ დამეღია, ეს უბედურება არ დატრიალდებოდაო. გამართა დიდი კოცონი, ფოლოსი დასწვა და ფერფლი დაასაფლავა. ასეთი ჩვეულება ჭქონდათ მკვლ ბერძნებს.

აქ რომ მოჩნა, ვრიძანთოსისაკენ წავიდა ტანის დასა-  
 ჭერად; ეგონა—მეც ისე მომეადრება, როგორც სხვასა, და მა-  
 შინ დავიჭერო, მაგრამ ტანი შეშინდა და გაიქცა. ჭერკულუ-  
 სიც უკან გამოუდგა. შეშინებული ტანი სულ გარბოდა, სა-  
 ნამ ერთ ორმოში არ გადავარდა, რომელიც თოვლით იყო  
 სავსე; არკადის მთებზე მუდამ თოვლი დევს სოღმე. ჭერკულუს  
 სსვილი თოკი ჭქონდა, კარგი მარუუჭი გააკეთა და ტანს ესროლა,  
 როცა იგი უკანა ფეხებზე იდგა და ორმოდან ამოსვლას სცდილობ-  
 და. მარუუჭი გადაეცვა ტანს და ჭერკულუსმაც სვეით ამოით-  
 რინა; დასტაცა სელი და მსრებზე შეიღო ისე, რომ ფეხები  
 სვეით ჭქონდა. ბევრი იჭევირა ტანმა, ბევრს ეცადა განთავი-  
 სუფლებას, მაგრამ ვერას გახდა—ჭერკულუსმა ტირინსში მიი-  
 უვანა.

ეს იყო მეოთხე საქმე ჭერკულუსისა.

სხვა შემდეგისათვის იყოს.



# ა ლ უ გ ა ლ ი

(თარგმანი)



„ჩემი კოსტა და სმირტოტებიანი აღუბალი  
ბებლუცი და ლამაზია. მთელ ბაღში ვერ  
შეხედებით იმაზედ უმშვენიერეს სეხილს. მე ამ ლამაზ ხის  
ასული გახლავართ, ზაწაწა აღუბალი, და სულ შეძოდ,  
კენწეროდან გამოვიტყები... ვერ არ შევთქვირებულვარ.  
ცალი ლოყა წითელ ბროწეულივითა მახვს და მეორე — თეთრ  
ბროლივით. ძალიან კი მინდა, რომ ძალე დაეშწიფდე და  
გავლამაზდე, ამიტომ მთელ დღეობით სულ მხეს შევცქერივარ.  
მე არ ვერიდები იმის სსივებს სოგიერთ ქალებივით: ვიცი,  
რომ იმისი გავლენა შემძენს სილამაზეს და აღის ფერს...  
მაგრამ ეს წვეული ჩემი მეხობული ფოთოლი ამფარებია  
მხის მხარეს და მის სსივებს ჩემ მარჯვენა ლოყაზედ საკო-  
ცნელად აღარ უშვებს.

ჩემის სიუმაწვილის ზირველი დღენი მეტად მშვენიერ აკ-  
ვანში გავატარე. გაპენტელ ბამბასავით თეთრი და უუითუკივით  
რბილი ლოგინი მეგო და შედ მომწვანო ფერის ფაფუკი სა-  
ბანი მესურა. ეს ჩემი მშვენიერი ხოჭიჭი აღუბლის ვეპვილი იყო.  
ერთი კიკნა ვიეავ იმ დროს, ფეტვის მარცვლის ტოლი და  
მეტად სუსტი არსება: დედაჩემმა კარგად იცოდა, რა ციფ



ღამეებს დაიწერს სოღმე ხან-და-ხან გასაფხული და ანამეებს  
 ასე სათუთად და თბილად ვეჯდით ვეკლა ქალიშვილები ვე-  
 ვილებში ჩაფუთნულები.

ესლა კი ჩემი აკვანი ძირსა გდია, დედამიწასე; აწი მე  
 უიძინოდც კარგად შემძლიან გაჟღო... ჰო, რა ძალიან მი-  
 ნდა, ძაღუ გავლამხდე და ტბილი ალუბალი გავხდე! ერთ  
 ჩემ მეგობარ ბეღურა-ჩიტს დაგვირდი, შენ გამკენკე, როცა და-  
 ვძწიფდები მეთქი და მინდა ძაღუ შევესრულო დაწირება. დი-  
 დი სიკეთე გამიწია ამ ბეღურამ: ის რომ არა, დღეს დაღუ-  
 ჳული ვიქნებოდი და ჩემი გულ-ღვიძლი მატლისაგან იქნე-  
 ბოდა გამობრული. ერთხელ, დილით რომ გამოვიღვიძე, ზედ  
 ჩემ აკვანზე ვიღაცის თავი დავინახე. დაგაცქერდი და ვიცანი:  
 სასიხლარი მატლი იყო და ჩემი ჩაულაპვა ეწადა. შევევედრე  
 მოძმორებოდა, ძაგრამ, შენც არ მომიკვდე, უურიც არ მათ-  
 სოვა. „ძმირი ვარ და მამ რა ვქნაო?“ სწორედ ამ დროს  
 მოულოდნელად ჩემს ტოტზედ შემოვდა ჩიტი.

— საუვარელო ჩიტუნიაჲ, მიშველე, თუ დემრთი გწამს:  
 დაძისენ ამ საძიძარ მატლისაგან, თორემ ვიღუპები მეთქი,  
 შევევედრე.

— დიდის სიამოვნებითაო! შემომჭიკჭიკა: მეც სწორედ ძა-  
 გისთანა მატლებს ვეძებდი ჩემი შვილების საუხმედ. ძაღუ  
 მტერი მოგიკვდეს, ძაღუ მე შენ ვე მოგამოროო!

ძას აქეთ ეს საუვარელი ჩიტი მუდამ დღე მოდის ჩემს  
 სახანავად. როგორც კი მომიანლოვდება რომელიმე მატ-  
 ლი, ის საჩქაროდ სწვდება და უღაპავს ან მიარბენინებს თა-  
 ვის ბარტყებთან. ამიტომაც შემეუვარდა მე ჩემი მეგობარი და  
 ნუ გაკვირდებით, ნუ დაძწრახავთ, რომ სამაგყრო ძაღლო-  
 ბის გადახდა მინდა.

— ალუბალი კი არ გიუვარს, ჩიტუნიაჲ?

დავეკითხე ერთ-ხელ ჩემს ძისწელს.

— როგორ არა, ჩემო მშენიერო!

— მამ როცა დავმწიფდე, შენად მიგულე. მე შენ დადიხარ და დიღს გადაძარჩინე და მინდა სამხეობროდ ჩემი თავი შემოგწირო: ნებას გაძლევე, შემწამო!.. ჩიტუნას ძალიან გაუხარდა და მადლობა მითხრა...

ოჰ, ეს შეჩვენებული ფოთოლი რომ არ მიძლიდეს, უპეე შემოსული, მწიფე ხილი ვიქნებოდი! მაგრამ ის წაცოდავი როგორღაც თან-და-თან ფითრდებოდა, თითქო რაღაც ავად-მოყოფობა შეჭმარვია; იმისი დღენი ითვლებოდა და ერთ დღით მე ჩვეულებრივსეგ მომეტებული სითბო ვიგრძენ: ძვესედე ფოთოლი აღარსად არის: ღამით დაშვენარიყო, მოწვეტილიყო და ძირს ჩაუარდნილიყო...

გავიდა ორიოდ კვირა ჩიტის გაცნობის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემი დაიები დავიხარდენით, დავმწიფდით. მოვიდა მებაღე, მიაუდა ჩვენ სესეგ ძალიანი კიბე და დაგვიწყო კრეფა. გულის კანკალით შევცქეროდი ჩემ დების საბრძლო მდგომარეობას და ვიცოდი, რაც მოელოდათ... ჩემს შესახებ კი გულ დაძვირებული ვიყავ: ისე ძალიან ვეკონწივალე, რომ ჩიტის გარდა არავის არ შეეძლო ჩემი დანახვა და სულის სლება! ჩიტთან მიცემულ აღთქმასეგ სრულიადაც არ ვხადვლობდი; მაგრამ დღეს კი ვიგრძნე, რომ სული ტკბილი უოფილა: ასედა კი შენახებოდა თავი, სიცოცხლე მინდობდა და სულ იმის ფიქრში ვიყავ, თუ როგორ დამეწია თავი სიკვდილისათვის.

— საუვარელო მეგობარო! მე ვგრძნობ, რომ ასედა სრულ სიმწიფეში ვარ შესული და მოდი, შემწამე! არც გისაუკუდურებ და არც დაგკედურები; მხოლოდ ერთი თხოვნა ამისრულე: არ მინდა ისე მოვიხშო, რომ ამ ქვეყნად არ დარჩეს ჩემსეგ რაიმე მოგონება. ვიცი, რომ შენ ჩემს კურკას არ შესწამ და რადგანაც იმაში იმყოფება ასალი სიცოცხლე, ჩათესე ის სადმე, ბაღში!



— დიდის სიამოვნებითო, — მიზასუსა ჩიტმა: — ოღონდ მენს: ი  
კურკას მე ბაღასებში არ ჩავბადებ, თორემ ბაღასს რომ მო-  
თიბვენ, მენის კურკიდან ამოსულ ნორს ალუბაღსაც თან  
მიბუღებენ. ღობის ძირას შეკულებს მიძაღული კუნჭული  
და შენი კურკა იქ უფრო თავისუფლად და უშიძრად იქნება!..

მწიფე ალუბაღმა მოიხარა ჩიტუნისაკენ თავისი ფუნ-  
ჩულა ღოუები. ჩიტი მადიანად მიამღა და კურკა ნისკარტით  
ღობის ძირას ჩაყლა რბილ მიწაში... კურკაში მეოფი თესლი  
მოთმინებით მოკლავდა იმ დროს. როცა წვიმა და შხე სელს  
შეუწუბოდნენ იმის მიწიდან ამოსვლას, ე. ი. სასწაულთმოქმედ  
გაზაფხულს. ჩიტი ეოჟელ დღე მოდიოდა ამ ღობის ძირას და  
სიხარულით დასტოვდა.

— ჭეივ! ჭეივ! ჭეივ! — ჭიკჭიკებდა მოუთმენლად: — რაღას  
უწიხარ, კურკავ მიწაში, ამოდი ჩქარა, ამოდი!..

კურკა ჩუმაღ განისვენებდა და ნელ-ნელა იძლებოდა იმა-  
ში ასალი სიცოცხლე, ელორტი. კურკაში მეოფ კულიდან  
ამოვიდა ბაღასის მსგავსი ზაწაწა ალუბლის სე, კაიზარდა  
და რამდენიმე წლის შემდეგ ისეთივე ალუბლებით დაისუნძლე,  
როგორც იყო ეს ჩუხი მოამბე ალუბალი!..

თეო კანდელაკი







# ნ ა რ ე ვ ი

## გაყაყიც ბუღეს იზენებს.

დღემდის ჩვენ კი არა, სწავლულებსაც ისე ვგონათ, ბაჟა-  
ვი ბუღეს არ იძენებო. მარგამ ესლა ბრწილიაში აღმოჩენილ  
ისეთი ჯიშის ბაჟაჲიც, რომელიც ბუღეს იძენებს თურმე. და-  
კვირვებამ აღმოაჩინა, რომ ეს ბაჟაჲი თებერვალში გამოდის  
ღამე ნაპირისკენ, სადაც წვალთ ძალიან ჰატარაბ, წინა ფე-  
ხებით აგროვებს ტალახს და ატკეპებს ერთი მეორეზე, უკლის  
გარშემო და განაგრძობს ამ მუშაობას, სანამ მენობა სიმაღლით  
3 სანტიმეტრი \*) არ იქნება და სიგანით 12 ან 15 სან-  
ტიმეტრი. ბუღეში ჰატარა წვალთ რჩება. ორ ღამეს ასეთ  
მუშაობას ეწევა, მერე მესამე ღამეს კვირცხებს დასდებს. ოთხი-  
ხუთი დღის შემდეგ გამოვა თავკობალები და დაიწეებენ ცურ-  
ვას ამ ჰატარა ბუღეში. ერთ დღეს დედაც არ შორდება, შემ-  
დეგ კი შეუდგება ამ ბუღის დანგრევას. ბუღე რომ არ  
დანგრეოს და არ განათავისუფლოს თავკობალები, მიძმილით  
დაისოცებინან. ამ გვარად ბუღის დროზე დანგრევა მათის სი-  
ცოცხლისათვის აუცილებელია.

\*) სანტიმეტრი უდრის ერთ გოჯს.



## სახალისო სამუშაო და გასართობი

### „ხელმწიფობია“

მოთამაშენი ირჩევს ერთს სულმწიფედ, დანავაძენ ცალკე, დანარჩენები განსე გავლენ და მოასდგენს შეთქმულობას, თუ ვისი მოქმედება წარმოადგინონ. მივლენ შემდეგ შეფასებებს და მდაბლად თავს დაუკრავენ. შეფუც საღამოს აძლევს და კვითხება:

- სად იუავით, შვილებო?
- ტუქში, — უპასუხებენ მოთამაშენი.
- რას აკეთებდით?

ამ კითხვასე მოთამაშენი სძას არ იღებენ, მხოლოდ ხელების ქნევით და სახის მეტყველებით შეძის მჭრელს ბაძავენ. მეფემ უნდა გამოიცნოს, ვის ბაძავენ. თუ გამოიცნო, მოთამაშენი ჟივილ-სივილით გარბიან, მეფე გამოუდგება დასაწერად. ვისაც დაიჭერს, ახლად მეფედ ისა ხდება. თუ ვერ გამოიცნა ან ვერაზინ დაიჭირა, ისევ თითონ რჩება მეფედ. დანარჩენები თამაშს ატყულებენ, მხოლოდ ესლად სხვას ბაძავენ: მრეცხავს, მეტტლეს, მექუსიკეს, მწერაღს და სს. და სს.

### გამოცანები

მატარა რამ კურტანია,  
ასლო ტვირთის მიძტანია.

სე ბრუნდი და სე ძართალი,  
წვეროძი სუთი ძარცვალი.

გამომცემელი კნ. ნ. ე. ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა.  
ნ. ზურაბიშვილისა.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



სტატიონი ქუთაისში